ზოგადი დებულებები: წესები და პირობები

1. საიტის დანიშნულება

საიტი აერთიანებს ორგანიზატორ(ებ)ს, ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს (მომხმარებლებს /მონაწილეებს), რომლებიც გეგმავენ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. აქვთ სურვილი წვლილი შეიტანონ როგორც საკუთარი, ისე სხვა ადამიანების ტრანფორმაციასა და ზრდაში, იყვნენ ეფექტურები და ეფექტიანები, მიზანდასახულები და შეუჩერებლები, შემომქმედები და პერფორმერები. მუდამ დანახულები და აღიარებულები. თავისუფლები და თავისუფლებით შექმნან საყოველთაო კეთილდღეობა.

პლატფორმა შექმნილია თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გასამარტივებლად.

2.0. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე წესებსა და პირობებს, რომელიც არეგულირებს თქვენს მიერ ვებგვერდის გამოყენების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს, გთხოვთ, დატოვოთ ვებგვერდი.

2.1. ვებგვერდი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, მათ შორის მომხმარებლების მისამართით განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია შემოთავაზებულ მომსახურებებთან დაკავშირებით, შემდგომში ერთობლივად წოდებულია, როგორც პლატფორმა.

2.2. წინამდებარე წესებსა და პირობებზე თანხმობის გამოხატვით მომხმარებელი ადასტურებთ, რომ წაკითხული და გაცნობიერებული აქვს წინამდებარე წესები და პირობები, სურს პლატფორმით სარგებლობა და კისრულობს ამ წესებითა პირობებით განსაზღვრული პირობების შესრულებასაა და დაცვას.

2.3. რეგისტრაციის ფორმაში "ვეთანხმები წესებს და პირობებს"- მონიშვნით თქვენ ასევე ეთანხმებით პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკას და აცხადებთ თანხმობას პლატფორმაზე თქვენი, როგორც ,,მომხმარებლის" რეგისტრაციის მიზნით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების გათვალისწინებით, კონფიდენციალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივ აქტებისა და ინსტრუქციების სრული დაცვით ვებ გვერდმა მოახდინოს თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავება. ამასთან, სრულად ეთანხმებით https://datusani.ge/-ზე განთავსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს https:// datusani.ge-ის პლატფორმის წესებისა და პირობების განუყოფელ ნაწილს.

3. ტერმინთა განმარტება

3.1. წინამდებარე წესებში და პირობებში გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დოკუმენტის კონტექსტიდან აშკარად სხვა რამ არ გამომდინარეობს:

3.2. გამოყენების წესები - ნიშნავს წინამდებარე წესებს, ნებისმიერ სხვა წესთან ან/და პირობასთან ერთად, რომელსაც ეს გამოყენების წესები შესაბამისი მითითებით მიიჩნევენ ამ წესების ნაწილად და რომლებიც არეგულირებენ მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე წვდომისა და მისი გამოყენების საკითხებს, მათ შორის, დაკავშირებულს ნებისმიერ შინაარსთან, ფუნქციასთან და მომსახურებასთან, რომელიც შეთავაზებულია ვებგვერდზე;

3.3. ვებგვერდი - ნიშნავს https://datusani.ge, რომლის მეშვეობითაც ხდება საიტით სარგებლობა და აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების ინფორმაციის გაცნობა

3.4. მომხმარებელი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სურს https://datusani.ge-ს საიტის გამოყენება.

3.5. ავტორიზაცია -რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე მის მიერ შექმნილ ან/და მის მიერ დადასტურებულ, პირად პორტალზე წვდომა;

3.6. მომხმარებელი, მომხმარებლები - ნიშნავს პლატფორმაზე რეგისტრირებულ მომხმარებელს.

3.7. მხარეები - ნიშნავს https://datusani.ge-ს და მის მომხმარებლებს;

3.8. ადმინისტრაცია- https://datusani.ge-ს ხელმძღვანელი პირი/პირები

4. მომხმარებლების ტიპები

4.1 ორგანიზატორები - ფიზიკური პირები, რომლებიც არიან ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქვთ მინიჭებული უფლება-მოსილება აწაროონ მოლაპარაკება/შეთანხმება ორგანიზაციის სახელით მათი საჭიროებებიდან გამომნდინარე საკონსულტაციო და/ან ტრეინინგ მიმართულებით მომსახურების მღებაზე. აქტიურად მონაწილეობენ სამუშაო პროცესების დაგეგმვასა და მხარდაჭერას უწევენ შეთანხმებული, სერვისის შეუფერხებელ მიწოდებას;

4.2 ორგანიზაციები – იურიდიული პირები, რომელბსაც აქვთ ცენტრის სერვისების საჭიროება საკონსულტაციო და/ან ტრეინინგ მიმართულებით. აქტიურად მონაწილეობენ სამუშაო პროცესების დაგეგმვასა და მხარდაჭერას უწევენ შეთანხმებული, სერვისის შეუფერხებელ მიწოდებას;

4.3. მომხმარებლები/მონაწილეები – ფიზიკური პირები, რომელბიც უშუალოდ იღებენ, ცენტრის ორგანიზაციასთან და/ან პირადად მათ მიერ ცენტრთსან შეთანხმებულ სერვისებს. იღებენ პასუხისმგებლობას სრულად ჩაერთონ განვითარების პროცესში და იყვენ მხარდაჭერაში სერვისის შეუფერხებელ მიწოდებაზე;

5. განცხადებები და გარანტიები

5.1. წინამდებარე წესებსა და პირობებზე თანხმობით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ:

5.1.1. https://datusani.ge და მისი ადმინისტრაცია არ არის პასუხისმგებელი პლატფორმის საშუალებით მომხმარებლის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე;

5.1.2 კომპანია თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მომხმარებლის ნებისმიერ ქმედებას, მომხმარებლის მიერ რომელიმე ხელშეკრულების, მათ შორის ამ წესებისა და პირობების დარღვევას, მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შეუსაბამობას და ა.შ.

5.1.3. არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი ან 18 წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი;

5.1.4 გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზეწოლის, მუქარისა ან ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს, პირობების დებულებათა არსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

5.1.5. გაეცნო წინამდებარე პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები;

5.1.6. მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი;

5.1.7.იგი კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს პირობებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.1.8.მომხმარებელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს კომპანიას ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან ან/და გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა;

5.1.9. არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც არღვევს მომსახურების პირობებს, კომპანიის და სხვა მომხმარებლების კონფიდენციალურობას. საიტის გამოყენების პირობებსა და სტანდარტებს;

5.2. https://datusani.ge ხელშეკრულებას დებს ამ პირობებში მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია კომპანიის მიერ ხელშეკრულებით და პირობებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე ცალმხრივი უარის სათქმელად;

5.2.1. საიტის დიზაინზე, პროგრამული უზრუნველყოფის ნაკრებზე, ძირითად პროგრამულ კოდზე, პროგრამული უზრუნველყოფასა და სხვა მასალაზე ვრცელდება საავტორო და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და შესაბამისად, ექვემდებარება დაცვას;

5.3. https://datusani.ge არ არის პასუხისმგებელი, მათ შორის:

5.3.1. მომხმარებლის მიერ https://datusani.ge-სთვის მიწოდებული პირადი მონაცემების სიზუსტეზე და ასეთი უზუსტობით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე;

5.3.2. მომხმარებლის მიერ მესამე პირებისთვის მიყენებულ ზიანზე.

6. ინფორმაციის სიზუსტე

6.1 ორგანიზატორ(ებ)ი და მონაწილეები ვალდებულნი არიან განათავსონ სწორი და რეალური ინფორმაცია ღონისძიების შესახებ (თარიღი, ადგილი, პირობები და ა.შ.)

საიტი არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე, თუმცა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებს შესაბამის ზომებს.

7. მომხმარებლად რეგისტრაცია

7.1 საიტით სარგებლობისთვის მომხმარებელი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია და განაცხადოს თანხმობა წინამდებარე პირობებსა და პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკაზე.

7.2. რეგისტრაციის წარმატებით დასასრულებლად საჭიროა ვერიფიკაცია- მობილური ტელეფონის ნომრის დადასტურება სპეციალური კოდის მეშვეობით.

7.3. რეგისტრაციის დასრულების და ვერიფიკაციის შემდეგ მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს კომპანიის მიერ შემოთავაზებული მომსახურებით;

7.4.მომხმარებელი ვალდებულია ყოველთვის უსაფრთხოდ შეინახოს მისი პირადი ანგარიშის წვდომის კოდები და არასდროს გაუმჟღავნოს ისინი მესამე პირებს. ამასთან, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კომპანია რეკომენდაციას აძლევს მომხმარებელს, შეარჩიოს რთული პაროლი, რომელიც შედგება ციფრების, სხვადასხვა სიმბოლოებისა და ასოებისაგან და პერიოდულად უზრუნველყოს მისი განახლება.

7.5. მომხმარებელი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი სხვისი სახელითა და მითითებით ახორციელებს წვდომას მომხმარებლის ანგარიშზე, იგულისხმება, რომ მას გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება, მომხმარებელს დააკისროს განსაზღვრული ვალდებულებები. კომპანია არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ მომხმარებლის ანგარიშზე წვდომისას დამდგარ ზიანზე;

7.6. მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს კომპანიის მომსახურების ცენტრს ტელეფონის ნომერზე ან ელ-ფოსტის საშუალებით იმ შემთხვევაში თუ გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის პირად ანგარიშზე შესასვლელი ინფორმაცია, პაროლი ან უსაფრთხოების სხვა წვდომის კოდ(ებ)ი ან საშუალებები იქნა მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული, უნებართვოდ გამოყენებული ან სხვაგვარად მითვისებული. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის როგორც მომხმარებლის პირადი ანგარიშის უსაფრთხოებას, ასევე გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას ნებისმიერ დანაკარგთან/ზარალთან დაკავშირებით;

7.7. პირადი ანგარიშის გახსნით, მომხმარებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ პირადი ანგარიშის გახსნით არ არღვევს არანაირ კანონს, რეგულაციას ან მესამე პირთა უფლებებს. იგი ვალდებულია დაიცვას პლატფორმის ინტერესები და აუნაზღაუროს პლატფორმას მომხმარებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.8. მომხმარებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მის პირად ანგარიშზე არსებული ინფორმაციის სიზუსტე და მისი განახლება. ვებ გვერდი არ იქნება პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ არანაირ ზიანზე. https://datusani.ge და მისი ადმინისტრაცია უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მომხმარებლისგან ინფორმაციის სისწორის დადასტურება ან დოკუმენტების ან სხვაგვარი მტკიცებულების წარმოდგენა.

8. იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრირებული უნივერსალური იდენტიფიკატორებია:

8.1 მომხმარებლის სახელი ;

8.2. პაროლი – ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთი პარამეტრი, რომელსაც მომხმარებელი თვითონ განსაზღვრავს;

8.3. მობილური ტელეფონის ნომერი – ტელეფონის ნომერი, რომელზეც მომხმარებელი იღებს ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით განსაზღვრული ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო ერთჯერადი წვდომის კოდებსა და ერთჯერად პაროლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე კომპანიისგან იღებს შეტყობინებებს;

8.4. მომსახურების გაუმჯობესებისა ან/და უსაფრთხოების მიზნებისთვის კომპანიამ შესაძლებელია განსაზღვროს დამატებითი ან განსხვავებული მომხმარებლის იდენტიფიკატორები, რის შესახებაც მომხმარებელს ეცნობება დამატებით.

9. კომუნიკაცია

9.1.. მომხმარებლებს შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია ვებ გვერდზე მითითებული საკონტაქტო ფორმებით.

9.2. ვებ გვერდი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლებს შორის მიღწეულ პირად შეთანხმებებზე ან ფინანსურ ურთიერთობებზე.

10. კონფიდენციალობა

10.1. თქვენი პირადი მონაცემები (სახელი, ელფოსტა, ტელეფონი) გამოიყენება მხოლოდ პლატფორმის ფარგლებში ურთიერთობის გასამარტივებლად და არ გადაეცემა მესამე მხარეს თქვენი ნებართვის გარეშე.

11. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

11.1. ვებ გვერდი უზრუნველყოფს მხოლოდ ინფორმაციის გაზიარების პლატფორმას.

11.2. https://datusani.ge არ იღებს პასუხისმგებლობას გაუქმებულ ღონისძიებებზე, დაგვიანებულ პასუხებზე, ან მომხმარებლებს შორის ფინანსურ დავებზე. (თუმცა ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ შეატყობინოთ ადმინისტრაცია, რათა მიიღოს შესაბამისი ზომები)

12. წესების ცვლილება

12.1 ადმინისტრაციას შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ან განაახლოს წესები და პირობები.

12.2 ცვლილებები განხორციელებულ იქნება https://datusani.ge -ს მხრიდან მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ ცვლილებები შეეხება მომხმარებლის ინტერესებს ან/და ასეთი ცვლილება /ცვლილებები არ აუარესებს მომხმარებლის მდგომარეობას , ან/და არ ხდება ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა.

12.2 სხვა შემთხვევაში განახლებული ან შეცვლილი წესების შესახებ მომხმარებლები მიიღებენ შეტყობინებას

12.3 ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ საიტის გამოყენება ნიშნავს, რომ თქვენ ეთანხმებით განახლებულ წესებს.

13. პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა

13.1. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკას რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემებზე არასანქცირებულ წვდომასთან დაკავშირებით https://datusani.ge -ს არსებულ დაცვის მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც https://datusani.ge უზრუნველყოფს თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვას. ჩვენს ვებგვერდზე - https://datusani.ge - ზე შესვლით და ვებგვერდით სარგებლობით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და ეთანხმებით კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკის და ჩვენი ვებგვერდით სარგებლობის ყველა პირობას.

14. გარდამავალი დებულებანი:

14.1.წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე;

14.2. მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია https://datusani.ge-ს მიაწოდოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც https://datusani.ge მოითხოვს ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

14.3. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების ნამდვილობაზე;

14.4. https://datusani.ge -ს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს მომხმარებელს https://datusani.ge -ს საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის ვებგვერდის, https://datusani.ge -ს ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არხის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

14.5. მომხმარებელი, https://datusani.ge-სთან წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ პირობებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს;

14.6. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით;